

დღეღმინა

№11, 2015



ზამთრისკიორი

დაიკრიფება ეურძენი,
 დაბინავდება სილი,
 ტყეებსაც სიზმრად წაიუვანს
 სამთრისპირულა ძილი.
 განხუნებული ფოთლებით
 მიწა მოიქსოვს ნოხებს,

ქარს კი ნანას უძღვრებს
 ხის გატიტვლებულ ტოტებს.
 ექო ცისკიდეს მიაწვდენს
 ხეების დანახარებს —
 შემო-დგომა-შემო...
 შემო-დგომა-დგომა...
 ნუ დანახანებ, სამთარო,
 შემო, დაიწეე თოვა,
 ქათიბი შემოგვანხვიე —
 მოგვწეინდა ასე დგომა!

ჯამალ ჯაყალი

გვიანი შემორგომა

ხეებს ტოვებენ ფოთლები
 და ქარის ფრთებით ქრიან.
 ამ ფოთოლცვენას სოფლების
 მოწეენლობა ჰქვია.
 მალე სამთარი გვეწვევა —
 ახალი წელი მოვა.
 ვერ შეაძინებს ბექუნას
 ქარი, წვიმა და თოვა.
 თოვლის ბაბუა მოუტანს
 საჩუქრებს ახალ-ახალს
 და განხარებს, როდესაც
 ღამაჲ საჩუქრებს ნახავს!

მხატვარი
ელენე ვარამაშვილი





თუ გიღალატო

თინათინ ჭაჭია

ჩემები ძვირფას მკვანოზე

ზუსტად რვა წლისა ვიყავი, როცა კატა მელანო ჩვენს სახლში გამოჩნდა. ეს ამბავი კარგად იმიტომ მახსოვს, რომ ჩემი დაბადების დღე იყო, 10 ნოემბერი. მანამდე ყვითელი თუთიყუში ჩიკო გალიიდან გაგვიფრინდა და დაიკარგა. ამის გამო ბევრი ვიტირე და ამიტომაც დედაჩემმა თქვა: — ამ სახლში ადამიანის გარდა არც ფრინველი და არც ცხოველი არ დავინახო მოყვანილი. მორჩა და გათავდაო.

...მაგრამ ამ ამბიდან ერთი თვის შემდეგ მელანო გამოგვეცხადა და ყველას გული მოინადირა. არავინ იცის, საიდან მოვიდა. როცა სტუმრები გავაცილეთ, მაშინვე საჩუქრების თვალჩინებას შევუდექი. უცებ ორ სათამაშო დათუნიას შორის რალაც შავ-თეთრი გამოძრავდა. მას მშვიდად ეძინა და მე გახარებულმა, რა თქმა უნდა, ვიფიქრე, ალბათ, რომელიმე სტუმარმა საჩუქრად მომიყვანა-მეთქი, მერე კი გავარკვიეთ, რომ ეს ასე არ იყო.

ახლა მოგიყვებით იმაზე, რომ ის თავდაპირველად სრულიად ჩვეულებრივად, ასე ვთქვათ,

კატურად იქცეოდა: ჭამდა, ეძინა და თავის კუდს ეთამაშებოდა. ბებიამ დაასკვნა, რომ ასე, ერთი წლისა თუ იქნებოდა. ამის შემდეგ მელანო მალევე მოიზარდა. ერთ დღეს კი, როცა ჟურნალ „დილის“ ახალ ნომერს ვკითხულობდი, ბებიამ, რომელიც ჩემს მშვენიერ, ვარდისფერ, ახალ კაბაზე გვირილის ფორმის თეთრ ლილებს აკერებდა, ძირს დავარდნილი მაკრატილის მინოდება მთხოვა. ისე ვიყავი კითხვით გართული, რომ ცოტა ფეხი ავითრიე. ბებიამ ისევ დამიძახა:

— ანა, მაკრატელი მომანოდე-მეთქი, ბებიკო!

...და რა მოხდა თუ იცით? მელანომ წინა ორი თათით მაკრატელი გააჩორა ბებოსკენ. მეც და ბებოვაც ვიფიქრეთ, რომ ის ძველებურად გაეთამაშებოდა ვერცხლისფერ, მოზრდილ მაკრატელს, მაგრამ მან, მელანომ, ის რამდენჯერმე მიაცურა ხალიჩაზე, ზედ ბებიას ფეხებთან მიიტანა, თავის თეთრ, უკანა ფეხებზე დაჯდა, ჯერ მე შემომხედდა, მერე ბებოს და დაელოდა. რა თქმა უნდა, ეს იმ დღეს მთელმა ოჯახმა გაიგო, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენმა მწვანეთვა-





ლება მელანომ შემდგომ ჩაიძინა. ეს კი ასე მოხდა: სამშაბათს, გაკვეთილების შემდეგ ბებოსთან ერთად სკოლიდან ვბრუნდებოდით. სახლის კარს მივუახლოვდით თუ არა, დავინახეთ ჩვენი მელანო თავისი სამი კნუტით ჭიშკართან წრიალებდა. მე და ჩემმა დამ, თამთამ, ცოტა არ იყოს გაკვირვებულებმა ხელი ვტაცეთ პატარებს და სახლში შესვლა დავაპირეთ. მელანომ კი, რომელიც იშვიათად კნაოდა, ერთი ამბავი ატეხა და სახლში შესვლა არ დავანება. ბებომ თქვა: – ეს მელანო ტყუილად არ წრიალებს გარეთ, თან შვილებიც გამოუყვანია. თქვენ აქ იყავით. აბა, რა მოხდა, მელანო ქალო, რა მოხდაო? – ბებო მელანოს ელაპარაკებოდა, თან სახლის კარს აღებდა. სურათი კი ასეთი იყო: სამზარეულოში ონკანი გამსკდარიყო, შადრევანივით ასხამდა და ლამის მუხლებამდე წყალში ფეხსაცმელები, სათამაშოები, სხვა საოჯახო ნივთები ტივტივებდა. ხოლო, როცა ყველაფერი ჩანყნარდა, ძია ნიკამ, ჩვენმა კარის მეზობელმა, რომელიც ონკანის გაკეთებაში დაგვეხმარა, ასეთი რამ გვიამბო: – ერთი საათის წინ კარზე ფხაჭუნი გავიგე. გავალე და რას ვხედავ, თქვენი მელანო არ არის! გამიკვირდა. მას ხომ კნუტები ჯერ პატარები ჰყავს. ვიცოდი, სახლში არ იყავით, ვიფიქრე, ხომ არ მოშივდა-მეთქი და შემწვარი თევზის ნაჭერი გამოვუტანე. იქვე დავუდე და კარი მოვიხურე. ცოტა ხანში თითქოს ისევ მომესმა კნავილი, მაგრამ ტელევიზორში საინფორმაციოს თავი ვერ გავანებე, თან ვიფიქრე, თევზი ხომ მივეცი-მეთქი და გული დავიმშვიდე.

ახლა ვხედავ, ეს თევზი აქ დევს. კნუტები რომ დამენახა, შეიძლება, რამეს მივმხვდარიყავი, მაგრამ ხედავ? მოფარებულში ჰყოლია, თქვენ რომ დავინახათ, მაშინ გამოიყვანა. ეს მელანო ვინ ყოფილა, კატა თუ ადამიანიო?

ჩვენ ახლა, რა თქმა უნდა, დიდები ვართ, მეც სამი შვილი მყავს, როგორც მაშინ ჩვენს მელანოს, და როცა ბავშვობას ვიგონებთ, ჩემები მაშინვე მთხოვენ: მელანოზე მოგვიყევი, რა, დედა, მელანოზეო.

...და ვინყებთ: – გახსოვს, მელანოს დროს რომ იასამნისფერი ფეხსაცმელი მქონდა? ცალი სადღაც მიიკარგა. ვეძებდით. გავიხედეთ და, მელანო ბებოს საწოლის ქვეშ შეძვრა და იქიდან ფეხსაცმელი გამოაჩოჩა.

– აუ, ის გახსოვს, ბადმინტონის ბურთი რომ გადაგვივარდა ბერიძეების ეზოში? სახლში არავინ იყო და ვერ გამოგვეკონდა. აძვრა მელანო სახურავზე, ეზოში ჩახტა და ბურთი პირით გამოიტანა. გაკვირვებულები ჯერ დავმუნჯდით, მერე კი ისეთი ყიჟინა ატყდა, ახლა მელანო გვიყურებდა გაოცებული. ალბათ, ფიქრობდა, რა ვქენი იმისთანა, ბურთი გამოვუტანე, მეტი ხომ არაფერიო.

აი, ასეთი კატა გვყავდა ბავშვობაში მე და ჩემს დას, თამთას, რომელსაც ბებია ქალბატონ მელანოს ეძახდა, ჩვენ კი, უბრალოდ, ძალიან გვიყვარდა ის არა მხოლოდ როგორც კატა, არამედ როგორც ოჯახის სრულფუნქციონირებელი წევრი.

იპოვე დამალული საგნები დიდ სურათზე



იპოვე რვა განსხვავება

მხატვარი
ნატა კუცია



ჭახი ოხოყთიანი

მიკვიხს

ორფუთიანს გულით ვრეცხავ
 ბურღუ-სარეცხელათი,
 მაკო დაი მესმარება -
 წყალი მოაქვს ხელადით.
 მამუკა კი ორგოებს წმენდს,
 მურა კუდს აქიციანებს,
 ტკბილს ფუტკარი შესევიან,
 კომში ხეხე ციმციმებს.
 მალე კერხეთს შელამება
 ვერცხლისფერად დაფერავს,
 - მომავალ წელს, - მამა მაქებს,-
 ხუთფუთიანს გაფრეცხავ.

- ჩემი ხე ვინ გააშიშვლა? -
 ვეკითხები მამიდას.
 - შემოდგომა რომ მოვიდა,
 საფხული რომ წავიდა,
 ხეს ფოთლები მიტომ სცვივია, -
 მეუბნება მამიდა;
 - არ იდარდო, გასაფხულზე
 ამწვანდება თავიდან.
 ერთი მიკვირს: სიცვიეში
 ასე უკეთესია?
 ჩვენ ბევრს ვიცვამთ,
 ხე შიშვლდება -
 სადაური წესია?!

მხატვარი
როანა შალვაძე



გამოცანა

კვერცხის მადებარია,
 მაგრამ - არა ფრინველი,
 აბა, ვინ ამოიცნობს,
 ვინ იქნება ჰირველი?

ორი ასო სჭირდება
 არ გეგონოთ იგი ბუ...
 ეველას მეგობარია
 უწეინარი ჩვენი ..

თამარ გავაშალაშვილი



მონადირე და მწყეხი



მწყერი მონადირის ბადეში გაება და სთხოვა – გამიშვიო.

– ოღონდ გამიშვი და სამსახურს გაგინევ: სხვა მწყერებს შენს ბადეში შემოვიტყუებ.

– იცი რა, მწყერო, – უთხრა მონადირემ, – ისედაც არ გაგიშვებდი, ახლა კი მით უმეტეს. კისერს მოგიგრეხ იმისთვის, რომ შენთანების გაცემა გადაწყვიტე.




მხატვარი
ლამა სულაკაური

ძაღვი და ქუჩი

ერთ ღამეს ქურდი ეზოში შეიპარა. ძაღლს სუნი ეცა და ყეფა დაიწყო. ქურდმა პური ამოიღო და ძაღლს გადაუგდო. ძაღლმა პურს პირი არ დააკარა, ქურდს მივარდა და ფეხებზე კბენა დაუწყო.

– რატომ მკბენ? მე ხომ პურს გაძღე, – უთხრა ქურდმა.

– იმიტომ გკბენ, რომ, სანამ პურს მომცემდი, არ ვიცოდი, კეთილი იყავი თუ ბოროტი, ახლა კი ნამდვილად ვიცი, რომ კეთილი არ ხარ, რადგან ჩემი მოსყიდვა გინდა.



რუსულიდან თარგმნა ქეთევან
თუხარელმა.

ლიანა მეზპრიშვილი



ჩემი დაბადების დღე

გაინტერესებთ, როგორ დავმეგობრდით მე და პელი? ეს ასე მოხდა: როცა რომელიმე კლასელის დაბადების დღეა, ყველა საკლასო ოთახის კართან ვიკრიბებით და ხმამაღლა ვულოცავთ. დღეს 4 ოქტომბერია, ათი წლისა ვხდები და ამაყად მივდივარ სკოლაში. სასიამოვნოა მეგობრების ნახვა. ისინი ყოველთვის ღიმილით მხვდებიან... მაგრამ რატომღაც დღეს კართან არავინ დამხვდა. ჩვეულებრივ ჩაიარა გაკვეთილებმა, არავის მოულოცავს ეს დღესასწაული. ტირილს ძლივს ვიკავებდი. მინდოდა, რაც შეიძლება მალე წავსულიყავი სახლში, მაგრამ ინგლისურის გაკვეთილზე ჩემი ყოფნა აუცილებელი იყო.

სახლში სადამოხანს დავბრუნდით მე და სელინა. ოთახში შუქი არ ენთო. სელინამ ხელი მკრა და სიბნელეში შემავდი. მოვძებნე ჩამრთველი და ოთახი გავანათე. ოჯახის წევრების გარდა ყველა იქ იყო, ყველა ჩემი მეგობარი: პელი, ლოლა, კელინა, ბერი, მაიკი და ლირი. ბავშვები მილოცავდნენ, საჩუქარიც მომართვეს. პელს გაეგო, რომ ცხოველებიდან ყველაზე ძალიან კატები მიყვარს და გადაეწყვიტათ, ყველას ერთად ეჩუქებინა დიდი, ლამაზი, ფუმფულა და გრძელბეწვიანი სიამის კატა. მას „ნულისა“ დავარქვი.

ამ დღის მერე პელი ჩემი საუკეთესო მეგობარი გახდა.







ნახატი ავტორისა



კონსტანტინა ლომთაქა, 6 წლის




ისე შეავსე ცარიელი უჯრები, რომ
ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ხაზებზე
ერთი და იგივე ცხოველი არ გამეორდეს.



იპოვე თითოეული კურდღლის ჩრდილი
და მიანერე შესაბამისი ნომერი





მიხეილ სარიტონაშვილი



კამოცანები

ჭერი - უკედლო, უფანჯრო -
დღედაღამ თავზე გვადგია.
ხან შავი სახით დაგვეურებს,
ხან სახე გაუბადრია...
მხოლოდ ღმერთს უშენებია,
მხოლოდ მას დაუბადია.

ღრუბლის უბეში ბუდე აქვს,
სანამდე დაფრთიანდება,
როდესაც ფრენას ისწავლის,
მიწისკენ მოემართება,
მდინარისაკენ გარბის და
მაშინვე უჩინარდება.



მოდის უვითელ კაბითა,
მოაქვს სვაფი, ბარაქა,
გლესმა შობა, გაზარდა
და სახელი დაარქვა.

— დედა, ბავშვობაში
კომპიუტერი გქონდა?
— არა!
— პლანშეტი?
— არა!
— მობილური?
— არა!!!
— დედა, ცოცხალი
დინოზავრი ნანახი გყავს?

— არა რა, ჩვენ ძალიან
ბევრს ვაშავებთ, ამ ბავშვს
რომ ასე ვათამამებთ. ის
უნდა დაისაჯოს!
— ეგ როგორ, თქვენ
აშავებთ და მე უნდა
დავისაჯო?!

— აი, ათი კანფეტი და ნახევარი
შენს პატარა ძმას გაუყავი.
— იმას სამს მივცემ.
— რატომ, თვლა არ იცი?
— მე კი ვიცი, მაგრამ იმან ხომ
არ იცის!


— ვინ უფრო გიყვარს,
დედა თუ მამა?
— არ გიპასუხებ, თორემ
დედას ეწყინება.



საბავშვო



ფრანი და ცელქი ბიჭუნა



ვის ჰუკვს უველახე ლამაზი და კარგი დედა?

ქრისტინე ოთხი წლისაა; გამხდარია, შავგვრემანი, პანია კიკინები ბაფთებით აქვს შეკრული, ჭრელი კაბა აცვია. დღეს კვირაა, ბავშვთა ბაღი კვირას ისვენებს. ბებია ლელა სარეცხს რეცხავს, თან ქრისტინეს ხშირ-ხშირად გამოხედავს ხოლმე. გოგონამ თოჯინასთან თამაშით გული იჯერა, ეზოში გამოვიდა და ჭიშკრისკენ გაიხედა. დედა მოენატრა. დედა, ქალბატონი იამზე, ექიმია. დღეს მორიგეა ბავშვთა განყოფილებაში, ხვალ დილამდე ვერ მოვა. ქრისტინეს თვალეში ცრემლი მოაწვია, ატირდა – ჩემი ლამაზი დედა მინდაო. მის სიტყვებს ყური მოჰკრა ბოჩოლამ, ბალახის ძოვას თავი მიანება და ამოიბღავლა:

- მეც მინდა ჩემი ლამაზი დედა!
 - დედაშენი კი არა, დედაჩემია ყველაზე ლამაზი, — უთხრა ქრისტინემ.
 - ეს როგორ? ჩემი დედა ირემა მეტად ლამაზია!
- ლექვემა ძვლის ხვრას თავი ანება:
- არა, ჩემი დედა ჯეკაა ყველაზე ლამაზი. ახლა სანადიროდ არის ჯაბა ბაბუასთან ერთად და ნანადირევს მოიტანს, თან რა გემრიელი რძე აქვს?
- კნუტმა ხატულამ კაკლის გორებს თავი ანება და თქვა:

– არა, ჩემი დედა კრუტუნაა ყველაზე ლამაზი. ნანადირევს წრუნუნებს მომიტანს და ძუძუსაც მომანოვებს. მერე რა კარგი მოფერება იცის.

ამ დროს ბუჩქებიდან ნაბლის დიდი ბურძგალივით ბურთი გაგორდა, გაიშალა, გასწორდა და პატარა ზღარბუნამ თქვა: – ჩემი დედა ყველაზე ლამაზი, ძუძუსაც მანოვებს და ვაშლები და მსხლებიც მოაქვს.

ლელა ბებომ სარეცხი გაფინა და პატარების დავაში ჩაერია: ქრისტინე, შენი დედა მართლაც ყველაზე კარგი და ლამაზია, მაგრამ ბოჩოლა ნიკორას დედაც, ირემაც ლამაზია. ასევე ყველას ჯობს ლეკვი ბუთათას დედა ჯეკა და კატის კნუტ ხატულას დედა კრუტუნაც. ზღარბუნას დედა ზღარბიც მეტად კარგი და ლამაზია, მერე რა, რომ ეკლით არის დაფარული. ბუნებას ასეთი გაუჩენია, მაგრამ შვილის სითბო და სიყვარული არც მას აკლია.

აი, ასე, ბავშვებო, ხომ ხედავთ, ყველას დედა კარგი და ლამაზია. გიყვარდეთ დედა – ის ხომ ყველაზე კარგი და ლამაზია იმიტომ, რომ დედაა, შვილებზე მზრუნველი და მოსიყვარულე. გიყვარდეთ დედა და პატივი ეცით სხვის დედასაც!



მხატვარი
ანნა კანდელაკი

დრუზილი

მანა კვაჭავაძე

დრუბელმა წვიმად იტირა,
მერე ფიფქებად იფიქრა.
შემდეგ გაბრაზდა სეტყვად,
ციდან ბურტყა და ბურტყა.
მზე მოეფერა, იძინა,
ცისარტყელებად იცინა.



საით გაპაჰყრან?

თეთრი ნისლი ქულა-ქულა
მთებზე მიმოფანტულა,
ქარი დაქრის, დაქრის, დაქრის
და უველაფერს ფოთლებს აერის.

უკვირს გურამს, უკვირს ზურაბს
და ნინიკოს, თვალხატულას:
მერცხლები და შოშიები,
ნეტავ, საით გაპარულან?

რომი

ლელიანებში, ჯუნგლისშირს,
საბრძანისი აქვთ ლომებს,
სად ხეთა შრიად-ხურჩულში
უცხო ჩიტები ხმობენ.
ტოტებგ აშლილი ხის ძირას
წევს ოქროსფერი ლომი,
ეტეობა, გამოიძინა,
აშლის ბალახის ლოგინს...
დაიღრიალებს, დაფრთხება
ანტილოპების ჯოგი.



ყოფილა, ყოფილა, ჩა ყოფილა?



ყოფილა, ყოფილა, რა ყოფილა?
ქართველებს წიგნი გვქონია.
ამდგარა გადაძთიელი
და კარზე შემოგვდგომა,
რათა ის წიგნი წაეღო,
სუეველა წიგნს რომ სჯობია,
მავრამ ის წიგნი ქართველებს
თურმე სეზირად სცოდნიათ.

ერთი დედაბერი ყოფილა,
ერთი თიკანი ჰყოლია,
თიკანს ნიშანი ჰქონია,
ისიც მკელს შეუჭამია
და ჰირი მოუქონია.
ფია, დედაბრის ჩივილი
ქვეყანას გაუგონია,
რაც ქვეყნად მწუნარებაა,
იმასთან მონავონია.

ყოფილა სოფელი,
ხალხი სახლებულა,
ომი ატეხილა –
გაპარტახებულა.

ერთი ჭინჭველა ყოფილა,
სახელად ჭანჭუ რქმევია;
სახლს დავიდგამო, უთქვამს და
ალაგიც აურჩევია.
დილით ჩასულა წეაროსე,
ჯერ ჰირი დაუბანია,
ქვასე უტეხავს ცული და
ტყით წკნელი გაუტანია,
შემოუღობავს მამული,
სახლი დაუდგამს ლამაზი,
ეხმარებოდა სოფელი
თურმე შრომა და ჭამაში.
დაბერებულა ჭინჭველი,
ჟამი გასულა თამაშით,
სახლი კი ისევ იქა დგას,
წელიწადია სამაზი.

ერთი ასული ყოფილა,
იმ ასულს ლელა რქმევია,
მალსე ლამაზი ყოფილა,
ლამაზი კაბაც სცმევია,
გასჭირვებია ქვეყანას,
თავსე დაგვსხმია მტერია,
ქალი მორთულა ვაჟურად,
ხელთ ხმალი დაუჭერია,
ცხენდაცხენ ომში გასულა,
მომხდური დაუფრენია.



მხატვარი
მალხაზ კუსაშვილი



ქაკის საჩუქაჰი

მწიფობისთვის იდგა. ჩვენი გულაბი მსხალი მზესავით ანათებდა და ირგვლივ საამო სურნელებას აფრქვევდა. ვაშლები წითელლოყება ქალებივით მორცხვად თავდახრილები ქვემ-ქვემ იჭყიტებოდნენ ფოთლებიდან, – შემოგვხედეთ, დატკბით ჩვენი მშვენიერებითო; ყინწოლია ქლიავი კი ისე დაღურჯებულყო, რომ კაცს ეგონებოდა, სახრით მაგრად უცემიათო. ის იყო, ქლიავს მოვწყვიტე თვალი, თავზე თედო პაპა წამომადგა: – გოგო, სად დაიკარგა ბებიაშენი? ხვალ ქლიავი უნდა დავკრიფოთ, კალათები მოამზადოს. საივლიტოდ ფეხსაცმელები უნდა გიყიდოთ, ბავშვებს სტუმრებთან ძველი ფეხსაცმლით ვერ გამოგაჩენთო (ჩვენს სოფელში 28 ივლისს წმინდა ივლიტეს ხსენების დღეს ზეიმობდნენ და ბევრი სტუმარი იყრიდა ხოლმე თავს). ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ახალ ფეხსაცმელს მიყიდიან-მეთქი და ბებიას დასაძახებლად ფრენა-ფრენით გავვარდი. მარო ბებო ვიშვიშითა და ფლოსტების ფლატუნით უკან დამედევნა და პაპას წესიერი მოსწავლესავით გამოეჭიმა.

– რა გინდა, შე გასახარებლო, ათი წუთიც არ არის, რაც ნატაშასთან გადავედი და უკვე ბალდი დამაყენე თავზე? რა მოგეპრიანა, თავში რა სიბრძნის ყოილი ამოგივიდა?!

ბებო მთიული იყო, მიგადაშიგ იქაურ სიტყვებს გამოურევდა ხოლმე. პაპამ უყურა, უყურა, აცალა ბებოს საყვედურების გადმოლაგება და ხელი ქლიავისკენ გაიშვირა:

– ხედავ, დედაკაცო, ამ ქლიავსა, რა მაგრად დაღურჯებულა, საქალაქოდ შეუღებავს უკვე თავ-პირი. ქალო, ხუმრობა იქით იყოს, ხვალ დი-

ლიდან დავინყოთ. მანამდე სტეფანიანთ წინას დიდი „კარზინკა“ გამოართვი, იმაში ბევრი ჩადის.

– კაცო, როდემდე ვთხოვო იმ ქალსა ეგ შენი „კარზინკა“, მრცხვენია უკვე. იქნებ, ქალაქში სადმე გადაეყარო დიდი ზომის კალათასა და იყიდე, რა გახდა, ბოლოს და ბოლოს, – ეხვეწებოდა ბები პაპას.

მეორე დილით ბებომ ადრინად გაგვადვიდა ბავშვები. პატარა კალათები ჩამოგვირიგა და ქლიავის დაბლა ტოტებთან დავვაყენა. – ეს ტოტები უნდა ჩამოკრიფოთ, ბავშვებო, აბა, თქვენ იცითო და თვითონ ისე მარჯვედ აცოცდა ხეზე, ციყვსაც კი შეშურდებოდა. ბებო გამხდარი, კაფანდარა ქალი იყო. ძალიან გამრჯე. ხეზე ისე მარდად გადადიოდა ტოტიდან ტოტზე, ზოგიერთი მიწაზეც ვერ გაივლის ისე. დიდი „კარზინკის“ გავსებას ცოტადა აკლდა, ხიდან რომ ჩამოგვდახა: ბავშვებო, ახლა ჩრდილში დაისვენეთ და პაპასთან ერთად წაიხემსეთ. ამასობაში ამ პატარა კალათასაც გავავსებ და მეც მალე ჩამოვალ, შემოგველოთ ბებოო. ჩვენც ეს გვინდოდა, კაკლის ძირში მწვანე მოლზე გავგორდით და გადმოვგორდით, თან თონის პურს ვილუკმებოდით მადიანად. ბებოც მალე ჩამოვიდა ხიდან. ქლიავით სავსე კალათა პაპამ „კარზინკას“ დააყარა და ბებოს შეახსენა – მარო, სუფთა თავსაფარი არ დაგავინყდეს ამ „კარზინკის“ თავის მოსაკრავად. ხო იცი, ხვალ დილით ადრე უნდა გამაღვიძო, ახლა ბაზარში ბევრი ხალხი დადის, ემანდ ავტობუსში ფეხზე დგომამ არ მომიწიოს, თორემ ქალაქამდე ჩემი მუხლები ვერ გაუძლებს და აბლიას ვირივით დავვარდები, დედაკაცო. ხომ გახსოვს, მაჭარანთ აბლიას ვირი შუა გზაზე რომ დავარდა და სახლში მანქანით მოიტანეს?!

მე და ჩემს ძმებს ჩაგვეძინა და დილით პაპას წასვლა ვერ გავიგეთ. მის დაბრუნებას სულმოუთქმელად ველოდით. როგორც იქნა, მოსალამოვდა და პაპაც თოვლის ბაბუასავით დატვირთული დაბრუნდა ქალაქიდან. ზღარბს რომ ვაშლები აეხუნძლება ეკლებზე, ისე ჩამოვეკიდეთ კისერზე შვილიშვილები, – ჩქარა გვაჩვენე, აბა, რა მოგვიტანეო.



– დააცათ ქა, პაპასა, სული მოათქმევინეთ, – შემოგვიტია ბებომ და სამფეხა ახლოს მიაჩოჩა. – აბა, ჩემო ბერიკაცო, რა ფასში გაყიდე ქლიავი? ფული რაში დახარჯე და სახლში რა მოგყვაო, თვითონ ბებომ არ აცალა პაპას სულის მოთქმა, სულ კაპიკ-კაპიკ უანგარიშა ნავაჭრი, მორჩენილი ფული ლეიბის ქვეშ ამოდო და თავისთვის ჩუმად ჩაიბუზღუნა: იაფად გაუყიდა ამ პირქვედასამხობსო. ახლა კი საჩუქრებს მივხედოთო, ბებომ კალათას ჭრელი თავსაფარი გადაადრო და საჩუქრების ამოლაგებას შეუდგა. ჩემი ძმებისათვის წითელი სანდლები ეყიდა პაპას, ისეთი ლამაზები იყო, რომ თვალი ზედ დაგრჩებოდათ. მე შორიახლო ვიდექი და ჩემს რიგს ველოდებოდი. ბოლოს ბებომ მუყაოს დიდი კოლოფი ამოიღო, გახსნა და „ლუქსის“ ლამაზი ფეხსაცმელი ხელში შეათამაშა, – პაპას ქალო, პაპას ქალო, ნახე, რა ლამაზი ფეხსაცმელები უყიდა შენთვისო, – ნამიმღერა ბებომ და ზონარგაკვანძული ფეხსაცმელი კისერზე ჩამომკიდა. მერე მტვრიანი ფეხები დაგვბანა და ნავაჭრი ჩამოგვირიგა. ფეხსაცმელები ისე კობტად მოგვერგო, არც ერთს არ გვემეტებოდა მათი ფეხიდან გაძრობა. ბებომ შეგვამჩნია და დაგვიყვავა:

– ბებო შემოგვევლოთ, ახლა გვიანია, დაიძინეთ, ხვალ დილით ჩაიცვით და რამდენიც გინდათ, ირბინეთო.

რალას ვიზამდით?! თავჩაქინდრული, მაგრამ მაინც ბედნიერი ჩემი ძმები ნავიდნენ, ლოგინში ჩანვნენ და მალე ფშვინვა ამოუშვეს. მე კი ძილი გამიკრთა, ერთი სული მქონდა, როდის გათენდებოდა, რომ ჩემი „ლუქსის“ ფეხსაცმელი ჩამეცვა და ბავშვებში თავი მომენონებინა. მობინდდა. ცაზე ნამგალა მთვარე ამოგორდა და ჩემს ფანჯარაში დაგვიანებული სტუმარივით შემოიხედა, თითქოს მაქეზებდა, რალას ელოდები, მეც მაჩვენე პაპის საჩუქარიო. ბევრი აღარ მიფიქრია, ლოგინიდან უჩუმრად გამოვძვერი, ფეხსაცმელი გულში ჩავიხუტე და გარეთ გამოვედი. თავი სამშვიდობოს რომ ვიგრძენი, ხელით ფეხისგულეები გავიწმინდე და „ლუქსის“ ფეხსაცმელი ამოვიცვი. მთვარის შუქზე ისე ბრწყინავდა, თვალს მოგჭრიდათ მისი დანახვა. ჩემი ფეხსაცმლის მშვენიერებით უფრო რომ დავმტკბარიყავი, ძეგლეურაანთ ორლობისკენ ავიღე გეზი. იქ ნაკლები ხეები იდგა მთვარე უფრო კარგად ანათებდა. გავივლი და გამოვივლი, სულ ჭრიალ-ჭრიალი გაუდით ამ გასახარებლებსა. სხვა დროს მშიშარას, ახლა შიში ახლოს არ მეკარებოდა. თითქმის მთვარის ჩასვლამდე ვიარე ჩემი ახალი ფეხსაცმლით ძეგლეურაანთ ორლობეში. მთვარემ რომ ღრუბლებში თავი შემალა, მაშინ კი ამიტანა შიშმა და სახლისაკენ გამოვკურცხლე. ეზოში ჩუმად შევიპარე, სიბნელეში ხელის ცეცებით მოვძებნე ლოგინი, ფეხსაცმელი თავქვეშ ამოვიდე და კმაყოფილმა და ბედნიერმა ძილს მივეცი თავი.

ლობიკუნი თავსაცმელები

* * *

გზაზე მიდიოდა:
სიძე და სიდედრი,
დედა და მისი ქალიშვილი,
ცოლი და ქმარი,
ბებია და შვილიშვილი გოგონა,
მამა და მისი ქალიშვილი.
სულ რამდენი ადამიანი
მიდიოდა გზაზე?

* * *

ფრინველების გადამფრენ-
მა გუნდმა გზად ხეებზე
დასვენება გადაწყვიტა: თუ
თითოეულ ხეზე 2 ჩიტი ჩა-
მოჯდება, ერთი ხე ზემეტი
დარჩება, თუ თითო ხეზე
ერთი ჩიტი დაჯდება, მაშინ
ერთი ჩიტი რჩება ხის გარე-
შე. რამდენია ჩიტი და რამ-
დენი – ხე?

* * *

ერთ კლასში სამი მე-
გობარია – ნიკოლოზი,
ირაკლი და ვატო.
ირაკლი ვატოზე მალა-
ლია, ვატო კი ნიკო-
ლოზს ზემოდან დაჰყუ-
რებს. რომელი ბიჭია
ყველაზე მაღალი?

იცნო თუ არა, რწმ...

... პირველ ქოლგებს წვიმასთან საერთო არაფერი ჰქონდათ. მათ მხოლოდ მზიგან დასაცავად იყენებდნენ.

მისი ფრანგული სახელწოდება „Parasol“ ნიშნავს „მზის წინააღმდეგ“. რაც შეეხება ინგლისურში გავრცელებულ „umbrella“-ს, ის ლათინურიდან მოდის: ძველი რომაელები ხის კარკასზე გადაკრული ნატურალური ტყავის ქოლგებს „უმბრაკულუმს“ (umbra-ჩრდილი) უწოდებდნენ. როგორც ჩანს, სახელწოდება ამ შემთხვევაშიც მზესთან ასოცირდება.




... ჩვენამდე მოღწეული პირველი ქოლგა 3000 წლისაა.

ქოლგის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება: ერთ-ერთი ლეგენდის თანახმად, ერთმა რიგითმა ჩინელმა დაამზადა საყვარელი ცოლისთვის „სახურავი, რომელიც სულ მასთანაა“.



... ძველ დროში ქოლგით მხოლოდ წარჩინებული პირები სარგებლობდნენ და ეს ნივთი რანგსა და წოდებაზე მიუთითებდა.


ქოლგების რაოდენობით განისაზღვრებოდა ამა თუ იმ მმართველის სტატუსი: მაგალითად, ბირმის მეფეს „ოცდაოთხი ქოლგის მბრძანებელს“ უწოდებდნენ; ჩინეთის იმპერატორს ოთხიარუსიანი ქოლგა ჰქონდა, სიამის (ამჟამად ტაილანდი) მეფეს კი – შვიდ- ან ცხრაიარუსიანი.



... უწინ ქოლგები 2 კილოგრამს იწონიდა და სახელურის სიგრძე 1 მეტრს აღემატებოდა.

მასალა, რითაც ქოლგა იყო დამზადებული – გაზეთილი აბრეშუმისა თუ ტილოს საფარი და ლერწმის თუ ვეშაპის უღვაშისგან გაკეთებული ტარი და ჩხირები – მეტისმეტად ამძიმებდა მას. XIX საუკუნის შუა პერიოდში სემიუელ ფოქსმა დააპატენტა ქოლგის სანიმუშო მოდელი, რომელსაც ფოლადის მსუბუქი, მაგრამ ამავე დროს გამძლე კარკასი ჰქონდა. აღრინდელმა ზორბა საფარმაც ადგილი დაუთმო უფრო მსუბუქ ქსოვილებს – აბრეშუმს, ბამბასა და გაცვილულ სელს.





... ქოლგა ბევრ ქვეყანაში სხვადასხვა დროს მნიშვნელოვანი რელიგიური ატრიბუტი იყო.

ძველი ეგვიპტელები მიიჩნევდნენ, რომ ქალღმერთი ნუტი ქოლგის მსგავსად გადაეფარა დედამიწას თავისი სხეულით. ამიტომ, მისი წყალობის მისაღებად ადამიანებიც თავიანთი მოძრავი „ჭერით“ დადიოდნენ. ინდოეთსა და ჩინეთში ხალხს სწამდა, რომ გახსნილი ქოლგა ცის კამარას წარმოადგენდა.

ძვ. წ. 500 წლისთვის საბერძნეთში რელიგიური დღესასწაულების დროს ქუჩებში ქოლგებს „შეფარებული“ ღმერთებისა და ქალღმერთების ქანდაკებები გამოჰქონდათ.

რომის კათოლიკურმა ეკლესიამ ქოლგა ცერემონიალურ მორთულობაში შეიტანა. პირველად პაპი გამოჩნდა წითელი აბრეშუმის ქოლგით, რომელიც ყვითელი ზოლებით იყო განწყობილი, კარდინალები და ეპისკოპოსები კი – იისფერი და მწვანე ქოლგებით.



... ევროპაში ძალიან დიდხანს ქოლგა მხოლოდ „ქალთა აქსესუარად“ მიიჩნეოდა.

XVIII საუკუნისთვის ინგლისში ქოლგით მხოლოდ მანდილოსნები დადიოდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდნენ ყავა-ხანის მეპატრონეები, რომლებიც ავდარში ქოლგით ხელში აცილებდნენ კლიენტებს ეტლებამდე.

ინგლისში ქოლგის ისტორია რადიკალურად შეცვალა მოგზაურმა და ფილანთროპმა ჯონას ჰენვეიმ. გადმოცემით, ის იყო პირველი მამაკაცი, რომელსაც ეყო გამბედაობა, ლონდონში სახალხო დეტარებინა ქოლგა. 1786 წლისთვის, იმ დროს, როდესაც ის გარდაიცვალა, ქოლგებს უკვე ატარებდნენ როგორც ქალები, ისე მამაკაცები.



მარიამ ნიკლაური
ბაბი ჰანაძე

იყო ერთი კაცი პროკლე, ჰქონდა ქოლგა გრძელზე მოკლე. თუ გაშლიდა, ვერ კეცავდა, ძალიანაც რომ ეცადა. ვერც დაკეცილს შლიდა. ამიტომაც წვიმაში სველდებოდა მშვიდად. რომ ჰქონოდა საფულე, რომ ჰქონოდა საფულეში ლარი, ხომ იყიდდა ქოლგას და, ხომ ივლიდა მურალი?

...ქოლგის ტარებას თავისი ეტიკეტი აქვს.

XIX საუკუნეში ინგლისში ილღის ქვეშ ამოდებული ქოლგით სიარული ცუდ ტონად მიიჩნეოდა. კარგად აღზრდილ ადამიანს ქოლგა შუანელით ეჭირა, ტარით ქვემოთ.

ეტიკეტი დღესაც არსებობს: მიწისქვეშა გადასასვლელში ჩასვლისას აუცილებლად უნდა დაკეცოთ ქოლგა; შენობაში გაშლილი ქოლგის დადება გასშრობად ეტიკეტის ნორმების დარღვევაა.

მესი-გეზია



ხალხით სავსე ტრიბუნები
ერთად ფეხზე დგებიან,
გოლი გააქვს მესისა და...
ტაშს უკრავენ ბებიას.

ორი ათი ნომერია,
აბა, ეს რა წესია –
მოედანზეც მესია და
ტრიბუნაზეც მესია.

ვერ აჩერებს ზიკის დრო და
მანქანების ნაკადი.

ჩვეულ ფინტით, წითელ შუქზე,
ხელჩანთებით გადადის.

გამოტყრდნენ შუქნიშნები,
გზას ამაოდ კეტავენ,
ღმერთო, ხომ არ შეიძალა
დედაბერი, ნეტავი?

„ჯიშებს“ სწრაფად გვერდს აუვლის,
„ვოლვოების“ წინ მირბის,
მოეძალათ მუხრუჭები
თავბრუდამხვევ დრიბლინგით.

ხან მარკეტი, ხან ბასარი –
მართლაც ცეცხლის კეკისია,
წინიდან ხომ ბებიასა,
ზურგიდან კი მესია.

ჩვენ კი არა, გაიხარებს
ონელიც და სონელიც –
სხვას ვისა ჰყავს მსოფლიოში
ბებო – ათი ნომერი.

შვილიშვილის მაისურით,
ტანსე რომ მორგებია,
აივანზე სარეცხსა ფენს
ჩვენი მესი-ბებიას.






მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე

თამაში

ფისუნები თამაშობენ
სანამლეოდ კარტებს,
თავუნები უნდა ერგოთ
გამარჯვებულ კატებს.
ეს რომ თავგებმა გაიგეს,
შეეხნეს ვაი-ვიში,
– ცხვირი გარეთ არ გაუყოთო,
გადაგვიჩხეს ჯიში!



მოძებნე ის ორი დეტალი,
რომლისგანაც შედგება
წრე





თბილისის მე-11 ბაბა-ბაღი



სანდრო ნავდარაშვილი

ანასტასია დვალიშვილი 9 წლის



მთავარი რედაქტორი: ღოდო ნივნივაძე
 ნახატი ყდაზე: იულია ნიკოგოსოვასი
 მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77; 2 72 51 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
 ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

